

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას

სენატის

დადგენილება №27

22 აპრილი 2019 წ.

ბაკალავრიატის დებულება

**დამტკიცებულია:**

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ  
2017 წლის 25 დეკემბერი ოქმი N7 (დადგენილება N16)

**ცვლილებები:**

სენატის 2019 წლის 22 აპრილის  
ოქმი N5 (დადგენილება N27)

თბილისი

## **ბაკალავრიატის დებულება**

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

**1.1.** ეს დებულება განსაზღვრავს შპს უმარლესი სასწავლებელი ჯორჯიას (შემდგომში - უს ჯორჯია) ბაკალავრიატის ფუნქციონირებისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ ზოგად მოთხოვნებს "უმადლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და უს ჯორჯიას დებულების შესაბამისად.

**1.2.** ბაკალავრიატი - აკადემიური უმადლესი განათლების პირველი საფეხური, სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს. ბაკალავრიატის პროგრამების ოპტიმალური ხანგრძლივობაა 4 წელი. ბაკალავრიატში სწავლის მიზანია ისეთი სასწავლო პროგრამების შეთავაზება, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

**1.3.** ბაკალავრი - მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის - ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება.

**1.4.** უს ჯორჯია განსაკუთრებულ პრიორიტეტად მიიჩნევს სტუდენტის თავისუფალ არჩევანს და ხელს უწყობს მას, თავად დაგეგმოს სასწავლო პროცესი. კერძოდ, სტუდენტი, მისი ინტერესიდან გამომდინარე, მაქსიმალურად თავისუფალია კურსების არჩევასა და საკუთარი სასწავლო გეგმის შემუშავებაში. აკადემიურ გარემოში სტუდენტის არჩევანის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სერვისით.

### **მუხლი 2. საბაკალავრო საფეხურზე მიღება საბაკალავრო პროგრამა**

#### **2.1. საბაკალავრო საფეხურზე მიღება**

**2.1.1.** ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც წარმატებით გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და რომელიც აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებული მიღების წინაპირობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

**2.1.2.** აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტის მობილობის მიზნით, ბაკალავრიატში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

**2.1.3.** ამ მუხლის 2.1.1. პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა ჩარიცხვა უს ჯორჯიაში ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის“ შესაბამისად.

**2.1.4.** ამ მუხლის 2.1.2. პუნქტით გათვალისწინებულ პირთა ჩარიცხვა უს ჯორჯიაში ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

**2.1.5.** სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კრედიტების აღიარების წესები, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული პირობები გაწერილია უს ჯორჯიას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

## **2.2. საგანმანათლებლო პროგრამა**

**2.2.1.** საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაში აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართულნი არიან დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ადმინისტრაციული პერსონალი (მათ შორის ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი და სხვა). პროგრამის შემუშავებისას სახელმძღვანელო დოკუმენტებია: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება „ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, უს ჯორჯიას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, უს ჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებული ინსტრუქციები და ფორმები.

**2.2.2.** საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის დოკუმენტში მითითებულია ინფორმაცია სწავლის ხანგრძლივობის/მოცულობის, მიზნის, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის, სწავლის შედეგების, სწავლების ენის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, სწავლების მეთოდების, შეფასების წესის, დასაქმების სფეროების, სწავლისთვის აუცილებელი რესურსების შესახებ.

**2.2.3.** საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტების (მაგ.: სასწავლო კურსები, სასწავლო კომპონენტები და ა.შ.) კრედიტები, საკონტაქტო საათების რაოდენობა, წინაპირობები,

სემესტრი, სტატუსი და სასწავლო კურსის განმახორციელებლის/განმახორციელებლის ვინაობა. პროგრამას ერთვის სწავლის შედეგების შეფასების რუკა. პროგრამის კომპონენტების დეტალური აღწერა მოცემულია შესაბამის დოკუმენტებში (სილაბუსებში და ა.შ.).

### **2.2.2. თავისუფალი კომპონენტი**

სტუდენტს აქვს შესაძლებლობა თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში შეისწავლოს მისთვის საინტერესო კურსები შემოთავაზებული საბაკალავრო კურსებიდან, რაიმე გამაერთიანებელი სქემის გარეშე და შეიძინოს ცოდნა სწორედ იმ საკითხებისა და მიდგომების შესახებ, რომლებიც მის მიზნებსა და ინტერესებს შეესაბამება. თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში კურსების შეთავაზებით უს ჯორჯია უზრუნველყოფს სტუდენტის აკადემიურ თავისუფლებასა და არჩევითობის პრინციპის დაცვას.

### **2.2.3. ინდივიდუალური პროგრამა**

სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, ისწავლოს ინდივიდუალური პროგრამით. მას აქვს უფლება, ამ მიზნით მიმართოს ფაკულტეტს და დაუსაბუთოს მის მიერ არჩეული სქემის მართებულობა და ადეკვატურობა. ინდივიდუალური პროგრამის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს უს ჯორჯიას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. გადაწყვეტილება ინდივიდუალური პროგრამის დამტკიცების შესახებ მიიღება ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უს ჯორჯიას რექტორი.

### **2.2.4. პროგრამას თან უნდა ახლდეს:**

- ა) სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- ბ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;

**2.2.5.** საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით. პროგრამების შედეგების აღწერისას გამოიყენება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი ჩამოყალიბებული დარგობრივი და ზოგადი შედეგები:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გ) დასკვნის გაკეთების უნარი;
- დ) კომუნიკაციის უნარი;
- ე) სწავლის უნარი;
- ვ) ღირებულებები;

**2.2.6.** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უს ჯორჯიას აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ.

**2.2.7.** საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უს ჯორჯიას აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.

**2.2.8.** სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) იქმნება შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსის შინაარსისა და სილაბუსის ავტორისათვის მინიჭებული აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით.

### **მუხლი 3. სასწავლო კურსის სილაბუსი**

#### **3.1. სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება:**

- 📖 საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად);
- 📖 ფაკულტეტი;
- 📖 სწავლების საფეხური;
- 📖 სასწავლო კურსის დასახელება (ქართულად და ინგლისურად) ;
- 📖 სასწავლო კურსის კოდი;
- 📖 სწავლების ენა;
- 📖 სასწავლო კურსის სტატუსი;
- 📖 სემესტრი;
- 📖 სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები;
- 📖 კრედიტების რაოდენობა და სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – ECTS;
- 📖 სასწავლო კურსის განმახორციელებელი/განმახორციელებლები;
- 📖 სასწავლო კურსის მიზანი;
- 📖 სწავლის შედეგი;
- 📖 სასწავლო კურსის შინაარსი ;
- 📖 სწავლება-სწავლის მეთოდები ;
- 📖 შეფასების სისტემა;
- 📖 შეფასების ფორმები და კომპონენტები;
- 📖 შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- 📖 სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურა;
- 📖 დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა;
- 📖 კონსულტაცია;
- 📖 სასწავლო რესურსი;
- 📖 სასურველია სასწავლო კურსში პლაგიატთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა.

**3.2.** სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება შეიტანოს სილაბუსში დამატებითი პუნქტები ან განახორციელოს ცვლილებები, რითაც არ დაირღვევა წინამდებარე დებულებით სასწავლო კურსისთვის და სილაბუსისთვის წაყენებული აუცილებელი პირობა. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ვალდებულია შეცვლილი სილაბუსი წარუდგინოს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს.

#### მუხლი 4. სწავლება/სწავლის მეთოდები

4.1. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. სასწავლო კურსის განმახორციელებელს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. არსებობს სწავლების მეთოდების მრავალგვარი კლასიფიკაცია. გთავაზობთ ყველაზე გავრცელებულ ვარიანტებს, რომელთაგან საჭირო ვარიანტს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს სასწავლო კურსის განმახორციელებელი.

- დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც ლექტორის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს;
- ინდუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ;
- დედუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;
- ანალიზის მეთოდი - გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;
- სინთეზის მეთოდი - გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას;

- ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. ეს მეთოდი ხელს შეუწყობს ჯგუფის მაქსიმალურ ჩართულობას საკითხთა განხილვის პროცესში, სტუდენტის ლოგიკური აზროვნების, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბების, საკუთარი აზრის დასაბუთების და სხვათა აზრის პატივისცემის უნარს;
- პრეზენტაცია - მოიაზრებს სტუდენტთა დაკომპლექტებას შესაბამის ჯგუფებად. საპრეზენტაციო თემები სტუდენტებმა შესაძლებელია შეარჩიონ ლექტორის მითითებით ან დამოუკიდებლად და მომიებული მასალის დამუშავების საფუძველზე დაიცვან საჯაროდ;
- ვერბალური პრეზენტაცია - ვერბალური პრეზენტაცია მოიცავს თეორიული საკითხების ცოდნას, რომელიც ხორციელდება ნარატივის სახით ან შეკითხვებზე პასუხის გაცემის ფორმატში და მოიაზრებს გამოკითხვაში, დისკუსიაში მონაწილეობას. ვერბალური პრეზენტაცია ითვალისწინებს თეორიული საკითხების ცოდნის დემონტრაციასა და მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – არის მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მიერ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის პირობებში როგორც პრაქტიკული უნარ-ჩვევების, ასევე თეორიული ცოდნის შექმნას.
- შემთხვევების შესწავლა (Case study) - სიტუაციური ანალიზის მეთოდია, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების/სიტუაციების გადაჭრის გზით ე.წ. „კეისების“ ამოხსნა. სწავლების მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. „კეისი“ წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისთვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად აწვდის დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს;
- ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება დასმული საკითხის ეტაპობრივ გადაწყვეტას და სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებას. მეთოდი მოიაზრებს ეკონომიკის საგარეო სექტორის ამა თუ იმ მიმართულების განვითარების ამსახველი განმაზოგადებელი მაჩვენებლების გაანგარიშებას სტუდენტის მიერ, მოვლენების განვითარების კანონზომიერების დადგენას და დასკვნების გაკეთებას. შედეგები სტუდენტმა უნდა წარადგინოს პრაქტიკულ მეცადინეობაზე და უნდა შეძლოს დისკუსიის წარმართვა აუდიტორიასთან;
- გონებრივი იერიში - მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას;
- ქვიზი - არის წერითი ნამუშევარი (განვლილი თემატიკის ფარგლებში თეორიული მასალის შემოწმება); ამ მეთოდით იზომება სტუდენტის ცოდნა, შესაძლებლობები, უნარები. ქვიზი შედგება თეორიული საკითხებისაგან.

- როლური თამაშები – წარმოადგენს სწავლების აქტიურ მეთოდს, რომელიც მიმართულია დიალოგური და მონოლოგური მეტყველების, მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. როლური თამაშების დროს ხდება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი დარგობრივი ლექსიკის, ენობრივი კონსტრუქციების, კლიშეების გამოყენება და მათი დამახსოვრება. ამ აქტივობის მიზანია მონაწილეებმა მეტი ცოდნა მიიღონ ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;
- ესე - დამოუკიდებელი მუშაობა ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრულ თემაზე - სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ეფექტური მეთოდია. მისი გამოყენება სწავლებაში ხელს უწყობს სტუდენტების მიერ აზრის მკაფიოდ და გამართულად, ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბების, ეკონომიური ტერმინოლოგიით მეტყველების ჩვევების განვითარებას. ასევე, ესე აჩვენებს სტუდენტებს მაგალითების, ციტატების გამოყენებას, განსახილველი თემის შესახებ საკუთარი აზრის დაფიქსირებას. ესეც მიზანია სტუდენტების შემეცნებითი საქმიანობის ნაყოფიერი და შემოქმედებითი ნაწილის დიაგნოსტიკა, რაც გულისხმობს ინფორმაციის ანალიზის, მისი ინტერპრეტაციის, არგუმენტების აგების, დასკვნების ფორმულირების უნარების შეფასებას;
- თარგმანი - დარგობრივ ლექსიკაზე დაყრდნობით განუვითარებს სტუდენტს თარგმნის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, გაუმჯობესებს თარგმნის ტექნიკას, ასწავლის მათ როგორ ჩასწვდნენ ტექსტის ენას, გაიაზრონ ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაცია;
- სავარჯიშოები - აუცილებელი შემადგენელია უცხო ენის სწავლების პროცესში გრამატიკული და ლექსიკური უნარების აქტუალიზაციისათვის, დარგობრივი ენის დახვეწა-გაღრმავებისათვის;
- მოსმენა - უნვითარებს სტუდენტს უცხო ენაზე აუთენტური ინგლისური მეტყველების გაგების, ყურადღების კონცენტრაციის, მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის აღქმისა და გაანალიზების უნარ-ჩვევებს;
- ბლიც-გამოკითხვა - არის ფრონტალური გამოკითხვა განვლილი მასალის ფარგლებში, რითაც ვლინდება სტუდენტის მიერ განვლილი მასალის აღქმის დონე შედარებით მოკლე დროში;
- სასემინარო მოხსენება - წარმოადგენს მეთოდს, რომელიც სტუდენტს უვითარებს საკითხის შესაბამისი, სანდო და ხარისხიანი წყაროების დამოუკიდებლად მოძიების, მონაცემთა შეგროვებისა და განმარტების, პრობლემების გამოკვეთის, მათი გადაჭრის გზების წარმოჩენის, თეზისების დამუშავებისა და დასკვნების წარმოდგენის უნარ-ჩვევებს. სასემინარო მოხსენება ავლენს საკითხის ცოდნის დონეს და მასალის დამუშავების სიღრმეს.



## **მუხლი 5. პრაქტიკის ორგანიზება და განხორციელება**

**5.1.** პრაქტიკას ხელმძღვანელობს უს ჯორჯიას წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებაზე. პრაქტიკის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკის პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში და აკონტროლებს პრაქტიკის კეთილსინდისიერად ჩატარებას. პრაქტიკის სრულყოფილად განხორციელების მიზნით მიმღები დაწესებულება გამოყოფს მენტორს, რომელიც განახორციელებს დაწესებულებაში სტუდენტთა უშუალო ზედამხედველობას.

**5.2.** პრაქტიკის დროს სტუდენტი ვალდებულია დაიცავს მიმღები დაწესებულების შინაგანაწესი, უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმები, შეასრულოს კონკრეტული სამუშაო და აგრეთვე, აწარმოოს პრაქტიკის დღიური, ხოლო პრაქტიკის დასრულების შემდეგ, შეადგინოს პრაქტიკის ანგარიში, რომელსაც სემესტრის ბოლოს დაიცავს საჯაროდ.

**5.3.** უს ჯორჯიაში პრაქტიკის განხორციელება მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს: პრაქტიკის დაწყებასთან დაკავშირებით მოსამზადებელი შეხვედრის ორგანიზება; პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტების ინფორმირება პრაქტიკის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებზე; პრაქტიკის გავლის ადგილზე სტუდენტთან მენტორის მიერ პრაქტიკის ადგილის გაცნობა; მენტორის მიერ სტუდენტის სამუშაო პროცესში ჩართვა, ყოველდღიური ჩანაწერების/პრაქტიკის დღიურის წარმოების შემოწმება და ზედამხედველობა მათ საქმიანობაზე; სტუდენტის ყოველდღიური აქტივობის შეფასება; პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტისთვის კონსულტაციების ჩატარება, მიმღებ ორგანიზაციაში ვიზიტი და სტუდენტის მუშაობის პერიოდული შემოწმება; პრაქტიკის ანგარიშის მომზადება; პრაქტიკის შეფასება.

## **მუხლი 6. პრაქტიკის ანგარიში**

**6.1.** პრაქტიკის დამთავრების შემდეგ, სტუდენტები ადგენენ პრაქტიკის ანგარიშს. პრაქტიკის ანგარიში უნდა შეიცავდეს პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს მოკლე მიმოხილვას, პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს, იძლეოდეს მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე და პრაქტიკის განხორციელებაზე. პრაქტიკის ანგარიშს ერთვის შეძლებისდაგვარად ყველა დოკუმენტი (ასლი), რომელიც ეხება სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს და აღწერს მათ შინაარსს. პრაქტიკის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ფორმით:

**6.2. თავფურცელი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, პრაქტიკის ობიექტის/ორგანიზაციის სრული დასახელება, სტუდენტის სახელი და გვარი, უს ჯორჯიადან პრაქტიკის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, პრაქტიკის ხელმძღვანელი ორგანიზაციიდან/მენტორის სახელი და გვარი;

**6.3. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის აღწერა** - ასახავს სტუდენტის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, პრაქტიკის შედეგების მიღწევის გზებს და პასუხს გაცემს შემდეგ კითხვებს:

რა ტიპის ფუნქციებს ასრულებდა სტუდენტი, რომელი კომპეტენციები შეიძინა ან/და განავითარა პრაქტიკის პროცესში.

## **მუხლი 7. პრაქტიკის ანგარიშის დაცვა**

**7.1.** პრაქტიკის ანგარიშის დაცვა ხდება უს ჯორჯიას რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის წინაშე და დაცვაზე დაიშვება რექტორის სამართლებრივი აქტით პრაქტიკის დაცვაზე დაშვებული სტუდენტები. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და ფაკულტეტის დეკანი. სტუდენტი დაცვაზე წარმოადგენს დასრულებული სახით მომზადებულ და სათანადოდ გაფორმებულ პრაქტიკის ანგარიშს, მოახდენს მის მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას ზეპირი ფორმით და პასუხს გაცემს დასმულ შეკითხვებს.

**7.2.** პრაქტიკის დაცვის კომისიის მიერ უნდა შეფასდეს დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად ECTS-ის შეფასებათა ასქულიანი სისტემით, რომელსაც წინასწარ უნდა იცნობდნენ როგორც კომისიის წევრები, ისე სტუდენტები.

**7.3.** დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის პრაქტიკის ანგარიშს, საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

**7.4.** შუალედური შეფასების (ყოველკვირეული უწყისით) დადებით შეფასებად ითვლება 60-დან 30 ქულის მიღება, ხოლო პრაქტიკის დაცვის დადებით შეფასებად ითვლება 40-დან 21 ქულა და მეტის მიღება;

**7.5.** პრაქტიკის დაცვის შემდეგ დგება უწყისი, რომელშიც აისახება შუალედური შეფასების კომისიის მიერ დაწერილი საბოლოო შეფასების ჯამი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

**7.6.** პრაქტიკის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

## **მუხლი 8. პრაქტიკის დაცვის კომისია**

**8.1.** პრაქტიკის დაცვა ხორციელდება პრაქტიკის დაცვის კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს რექტორი;

**8.2.** კომისიას თავმჯდომარეობს რექტორის მიერ განსაზღვრული კომისიის ერთ-ერთი წევრი;

**8.3.** პრაქტიკის დაცვის კომისიის თითოეულ სხდომაზე არ შეიძლება 35 პრაქტიკის ანგარიშზე მეტის დაცვა; დღის განმავლობაში დასაშვებია პრაქტიკის დაცვის კომისიის ორი სხდომის ჩატარება;

**8.4.** პრაქტიკის დაცვის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ დამსწრეთა რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის ორ მესამედს მაინც;

## **მუხლი 9. პრაქტიკის შეფასების ფორმები და კომპონენტები**

## შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები

**9.1.** უს ჯორჯიაში შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით; პრაქტიკა მიეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტს, მისი შეფასება მოიცავს ორ ფორმას -

შუალედურ შეფასებას (60 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 30 ქულა), რომელიც თავისმხრივ მოიცავს პრაქტიკულ სამუშაოს (40 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა) და დისკუსია (20 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 10 ქულა) და

**9.2.** დასკვნით შეფასებას (40 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 21 ქულა), რომელიც თავისმხრივ მოიცავს უშუალოდ პრაქტიკის ანგარიშის შეფასებას (20 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 10 ქულა) და საჯარო დაცვაზე მიღებულ შეფასებას (20 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 11 ქულა).

**9.3.** დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებითი გამოცდის შემთხვევაში მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პრაქტიკის საბოლოო შეფასებაში (0-50 ქულის შემთხვევაში ფორმდება შეფასება  $F=0$  ქულა). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა უშვებს:

### ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

### ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(F<sub>x</sub>) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თუ სტუდენტი არ გამოცხადდა ან ვერ გადალახა შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, გაუფორმდება შეფასება "F", რაც ითვალისწინებს პრაქტიკის თავიდან გავლას.

„F<sub>x</sub>“ შეფასების და/ან პრაქტიკის დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასევე მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტს ეძლევა დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება იმავე სემესტრში, პრაქტიკის დაცვიდან არა ნაკლებ 5 დღეში.

#### 9.4. შუალედური შეფასება

შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას (60 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 30 ქულა), რომელიც თავისმხრივ მოიცავს პრაქტიკულ სამუშაოს (40 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა) და დისკუსია (20 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 10 ქულა)

##### პრაქტიკული სამუშაო:

პრაქტიკული დავალების შეფასება ხდება მენტორის მიერ, შეფასება ხორციელდება 8-ჯერ სემესტრის განმავლობაში, თითოეული ფასდება 5 ქულით და წარმოადგენს პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის მიერ შესრულებული პრაქტიკული სამუშაოს და ამ სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული გამოკითხვის შეფასებების (ქულების) ჯამს.

კონკრეტული პრაქტიკული დავალების შეფასებაში 0 ქულის მიღების შემთხვევაში მის შესრულებასთან დაკავშირებული გამოკითხვა არ ტარდება და იწერება შემაჯამებელი 0 ქულა. ქვემოთ მითითებული რაოდენობები წარმოადგენს სტუდენტის შეფასების რაოდენობას (მათ შორის, 0 ქულის მიღების შემთხვევაში).

შესრულებული სამუშაოს მოცულობა - დავალება შესრულებულია სრულად.	1 ქულა
დავალების შესრულების სიზუსტე - დავალება შესრულებულია მექანიკური შეცდომების/უზუსტობების გარეშე.	1 ქულა
დავალების დამოუკიდებლად შესრულების უნარი - დავალება შესრულებულია დამოუკიდებლად.	1 ქულა
სამუშაოს დაგეგმვა-შესრულება - სამუშაოს შესრულების გზა არის სწორი, შესრულების ეტაპები თანმიმდევრულია,	1 ქულა
წესები დაცულია, სამუშაო შესრულებულია დათქმულ ვადებში.	1 ქულა
დავალება შესრულებული არ არის / შესრულებულია დავალების 50%-ზე ნაკლები / ზემოთ მითითებული ერთ-ერთი კრიტერიუმი შეფასდა 0 ქულით	0 ქულა

სემესტრის განმავლობაში სტუდენტი მენტორის მიერ ფასდება 5-ჯერ, თითოეული შეფასება - 8 ქულა, შესაბამისად პრაქტიკული დავალების შესრულება ჯამში ფასდება 40 ქულით.

##### დისკუსია:

შუალედური შეფასება მენტორის მიერ ხდება ასევე ზეპირი გამოკითხვის სახით, დისკუსია სემესტრის განმავლობაში ტარდება 5-ჯერ, თითოეული ფასდება 4 ქულით, სულ ჯამში სტუდენტი იღებს 20 ქულას.

ინფორმაციის გადმოცემის სიზუსტე - ინფორმაცია გადმოცემულია სრულად, უზუსტობების გარეშე, ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით.	1 ქულა
ინფორმაციის გადმოცემა - მსჯელობა - მსჯელობა არის სწორი და დასაბუთებული, აზრი არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და სტრუქტურირებულად გადაცემული.	1 ქულა
დისკუსიაში ეფექტური მონაწილეობა - ავლენს არგუმენტაციის უნარს და კრიტიკულ აზროვნებას.	1 ქულა
პოზიციის მოსმენა - ფლობს საწინააღმდეგო პოზიციასთან გამკლავების ხერხებს, არის კორექტული.	1 ქულა
ვერ მსჯელობს საკითხზე / ზემოთ მითითებული ერთ-ერთი კრიტერიუმი შეფასდა 0 ქულით.	0 ქულა

### დასკვნითი შეფასება

- 1) დასკვნით შეფასებაზე დაიშვება სტუდენტი რომელმაც შეფასების შუალედურ ფორმაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;
- 2) პრაქტიკის ანგარიშის შეფასებაში დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში არ ხდება საჯარო დაცვაზე პრეზენტაციის წარდგენა;
- 3) დასკვნითი შეფასების ქულა უდრის პრაქტიკის ანგარიშის შეფასებაში და საჯარო დაცვაზე მიღებული ქულების ჯამს.

შეფასება მოიცავს დასკვნით შეფასებას (40 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 21 ქულა), რომელიც თავისმხრივ მოიცავს უშუალოდ პრაქტიკის ანგარიშის შეფასებას (20 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 10 ქულა) და საჯარო დაცვაზე მიღებულ შეფასებას (20 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 11 ქულა).

### პრაქტიკის ანგარიშის შეფასება

- 1) ფასდება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;
- 2) ქვემოთ მითითებულ შეფასების ქვეკრიტერიუმთან ნაწილობრივ შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მითითებული მაქსიმალური ქულების განახევრება, შეფასების ქვეკრიტერიუმთან შეუსაბამობის (მაგ., არსებითი შეცდომა, უზუსტობები/ხარვეზები ან სხვ.) იწერება 0 ქულა. შემაჯამებელი შეფასება (ქულა) წარმოადგენს შეფასების ყველა კრიტერიუმში მიღებული ქულების ჯამს, ერთ-ერთ კრიტერიუმში 0 ქულის მიღების შემთხვევაში იწერება შემაჯამებელი 0 ქულა.

ფორმალური მხარე, კერძოდ:	2.0
1. ანგარიშის სტრუქტურა შეესაბამება მოთხოვნებს.	1.0
2. ანგარიშის გაფორმება შეესაბამება მოთხოვნებს.	1.0
წერის კულტურა, კერძოდ:	4.0
1. ანგარიში ენობრივად გამართულია, დაწერილია შეცდომების გარეშე.	2.0
2. აზრის არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და სტრუქტურირებულად გადმოცემული გამართული წინადადებებით, მათ შორის კავშირი ლოგიკურია.	2.0
შინაარსობრივი მხარე, კერძოდ:	14.0
1. შესრულებული სამუშაოს მოცულობა - ანგარიში მომზადებულია სრულად.	2.0
2. პრაქტიკის ობიექტის აღწერა ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე.	2.0
3. შესრულებული სამუშაო და ფუნქციები არის ამომწურავად აღწერილი და განხილული, ანგარიში ქმნის მკაფიო წარ-მოდგენას პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის საქმიანობაზე.	2.0
4. შესრულებული სამუშაოს თეორიული დასაბუთება სწორია და ტერმინოლოგიურად გამართულია.	2.0
5. გამოყენებული ინფორმაცია არის რელევანტური, ინფორმაციის ანალიზი სრულყოფილია.	2.0
6. ინფორმაცია გადმოცემულია სრულად, უზუსტობების გარეშე.	2.0
7. მსჯელობა არის დასაბუთებული, დასკვნები არის სწორად და სრულად ჩამოყალიბებული.	2.0
პრაქტიკის ანგარიში მომზადებული არ არის / ზემოთ მითითებული ერთ-ერთი კრიტერიუმი შეფასდა 0 ქულით.	0

### ანგარიშის საჯარო დაცვა (პრეზენტაცია)

- 1) ტარდება PowerPoint გამოყენებით, პრეზენტაციის წარდგენის რეგლამენტი - საშუალოდ 15 წ., ფასდება როგორც წარდგენილი პრეზენტაცია, ისე სტუდენტის მიერ წარმოჩენილი კომპეტენციები;
- 2) ფასდება დაცვის კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად (თითოეულის შეფასება - 10 ქულა), თითოეული კომისიის წევრის შეფასება (ქულა) წარმოადგენს შეფასების ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმში მიღებული ქულების ჯამს, შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმში 0 ქულის მიღების შემთხვევაში სხვა კრიტერიუმებში მიღებული ქულები მხედველობაში არ მიიღება და იწერება შემაჯამებელი შეფასება 0

ქულა. ქვემოთ მითითებულ შეფასების ქვეკრიტერიუმთან ნაწილობრივ შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მითითებული მაქსიმალური ქულების განახევრება, შეფასების ქვეკრიტერიუმთან შეუსაბამობის (მაგ., არსებითი შეცდომა, უზუსტობები/ზარვეზები ან სხვ.) იწერება 0 ქულა;

3) ანგარიშის საჯარო დაცვის შეფასება (ქულა) წარმოადგენს დაცვის კომისიის წევრების მიერ მინიჭებული შეფასებების (ქულების) საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს.

პრეზენტაციის ტექნიკური მხარე, კერძოდ:	8.0
1. პრეზენტაციის ვიზუალური მხარე: პრეზენტაცია მომზადებულია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამ(ებ)ის გამოყენებით, მისი ვიზუალური მხარე სრულყოფილია.	2.0
2. პრეზენტაციის სლაიდების ტექსტი ქმნის სრულ წარმოდგენას ნაშრომის შინაარსზე.	2.0
3. IT ფლობის დემონსტრირება: პრეზენტაცია ჩატარდა სრულყოფილად IT-ის გამოყენებით.	2.0
4. დროის მართვა: პრეზენტაციის წარდგენის რეგლამენტი დაცულია.	2.0
პრეზენტაციის ტექნოლოგია (კონტაქტი აუდიტორიასთან), კერძოდ:	12.0
1. ჩატარებული პრეზენტაცია ქმნის სრულ და მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე შესრულებულ სამუშაოზე.	2.0
2. აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარების და ინფორმაციის მიწოდების ტექნიკა (ჟესტიკულაცია, პაუზები და სხვ.) რელევანტურია.	2.0
3. ინფორმაცია გადმოცემულია გამართული წინადადებებით, მათ შორის კავშირი ლოგიკურია; აზრი არის მკაფიოდ ჩა-მოყალიბებული და სტრუქტურირებულად გადაცემული.	2.0
4. ინფორმაცია გადმოცემულია უზუსტობების გარეშე, თეორიული დასაბუთებით და ტერმინოლოგიის გამოყენებით.	2.0
5. კითხვებზე პასუხი რელევანტური და ამომწურავია.	2.0
6. დისკუსიაში მონაწილეობა და თეორიული ცოდნით ოპერირება შეუფერხებელია, მსჯელობა ლოგიკურია, დასკვნები - ამომწურავი და დასაბუთებულია.	2.0
პრეზენტაცია მომზადებული/წარდგენილი არ არის / ზემოთ მითითებული ერთ-ერთი კრიტერიუმი შეფასდა 0 ქულით.	0

## **მუხლი 10. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი**

### **10.1. საბაკალავრო ნაშრომის მომზადების მიზანი**

საბაკალავრო ნაშრომი არის წერიტი ხასიათის ნაშრომი, რომელიც უნდა შეასრულოს და დაიცვას სტუდენტმა აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლო სემესტრში. საბაკალავრო ნაშრომი არის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავალდებულო კომპონენტი. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლინდეს საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული სტუდენტის ცოდნის დონის, პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

### **10.2. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის მეთოდები**

საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესი მიმდინარეობს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელთან კონსულტაციების, დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატით. ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად სტუდენტი დაგეგმავს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპების თანმიმდევრობას და დროს, დამოუკიდებლად მოიძიებს ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ მასალებს და ინფორმაციას, გამოიყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელთან კონსულტაციების და მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად გამოიყენებს სხვადასხვა მეთოდს ნაშრომის უკეთ შესრულების მიზნით. საბაკალავრო ნაშრომის მომზადების დროს გამოიყენება წერიტი, ვერბალური, საკომუნიკაციო და სხვა მეთოდი. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის მეთოდები განპირობებულია დასახული მიზნების და შედეგების მიღწევით სტუდენტთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინების გზით.

## **მუხლი 11. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი**

**11.1.** საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს გეგმის შედგენაში, რელევანტური ლიტერატურის შერჩევაში, მოძიებასა და დამუშავებაში. საბაკალავრო თემის ხელმძღვანელი ეტაპობრივად შეამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, გამოთქვამს მოსაზრებებსა და/ან შენიშვნებს, რითაც დაეხმარება ავტორს კორექციაში.

ნაშრომის დასრულების შემდეგ ხელმძღვანელი ვალდებულია მოამზადოს დასკვნა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ ნაშრომის დასათაურებას;



- ✓ ავტორის ვინაობას;
- ✓ ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;
- ✓ ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შენიშვნებისა და რეკომენდაციების მინიშნებით;
- ✓ ავტორის შრომისუნარიანობისა და სხვა უნარ-თვისებების ხარისხის აღნიშვნას;
- ✓ ნაშრომის ზოგად შეფასებას (და არა ნიშნით);
- ✓ პირად დასკვნა-რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად.

ხელმძღვანელს უფლება აქვს არგუმენტირებული უარი თქვას კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე, როგორც მუშაობის დაწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მან წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს დეკანს, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მუშაობის დაწყებიდან.

## **მუხლი 12. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესი**

***ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:***

- ✓ საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A4 ზომის 40 გვერდზე ნაკლები;
- ✓ შრიფტი – "სილფაენი";
- ✓ ზომა - 12, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 14-16, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ.

***საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:***

თავფურცელი - საბაკალავრო ნაშრომის პირველი გვერდი;

ანოტაცია - არაუმეტეს ერთ გვერდზე უნდა ასახავდეს ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას;

შესავალი – ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები, ინოვაციები, დასმული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული მეთოდები;

ტექსტის ძირითადი ნაწილი – შეიძლება შესრულებული იყოს, როგორც თავებად, ასევე პარაგრაფებად;

დასკვნა - უნდა ასახავდეს ნაშრომის შედეგებს;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე და უცხოურ ენებზე ანბანური თანმიმდევრობით.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს:

- ✓ ***პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:***

ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები;

გამოცემის წელი;

ნაშრომის სახელწოდება;

სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება;

გამოცემის ნომერი;

გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი.

✓ **წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:**

ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები;

გამოცემის წელი;

სახელწოდება;

გამოცემის ადგილი;

გამომცემლობა.

✓ **ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში:**

მასალის ავტორი;

ვებ-გვერდის მისამართი;

✓ **ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:**

სტატიის ავტორი (გვარი, ინიციალები);

წელი;

სტატიის დასახელება;

ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტი);

გამოცემის ნომერი;

თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში);

ვებ-გვერდის მისამართი;

✓ **სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:**

ქვეყნის დასახელება;

უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი;

წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი;

დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი);

დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით;

ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი;

გამოცემის დასახელება, სადაც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი.

**ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით:**

✓ თავფურცელი;

✓ ანოტაცია;

✓ სარჩევი;

✓ შესავალი;

✓ თავები;

✓ ქვეთავები;

✓ დასკვნა;

- ✓ გამოყენებული ლიტერატურა;
- ✓ დანართები;

დაცვაზე სტუდენტმა უნდა წარადგინოს ნაშრომის ერთი ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია; ნაშრომის დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება არაუმეტეს 15 წუთით; დაცვის პროცესში სტუდენტს შეუძლია საილუსტრაციო მასალის გამოყენება და/ან მის მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია PowerPoint-ში; დაცვის წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია, როგორც ახალი თემის შერჩევა და/ან ხელმძღვანელის შეცვლა, ასევე იმავე თემაზე მუშაობის გაგრძელება საბოლოო დაცვის მიზნით.

### **მუხლი 13. საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა და დაცვის პროცედურა**

#### **13.1. საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა**

- ა. სტუდენტმა საბაკალავრო ნაშრომი ელექტრონულ ვერსიასთან (CD) ერთად, უნდა წარადგინოს შესაბამის ფაკულტეტზე საგამოცდო პერიოდის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში;
- ბ. საბაკალავრო ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში სტუდენტი დაცვაზე არ დაიშვება;
- გ. საბაკალავრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ზამბარით აკინძული ან ყდაში ჩასმული);
- დ. საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით.
- ე. საბაკალავრო დაცვაზე პროგრამის ხელმძღვანელმა კომისიას უნდა გააცნოს ხელმძღვანელების შეფასებები.

#### **13.2. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა**

- ა. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა უნდა ჩატარდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შედგენილი კომისიის წინაშე, რომელიც იქმნება უს ჯორჯიას რექტორის სამართლებრივი აქტით. ნაშრომის დაცვის პროცედურა საჯაროა. ნაშრომის წარდგენისათვის მომხსენებელს ეძლევა 10-15 წუთი.
- ბ. კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სტუდენტის ვინაობას, ნაშრომის თემას, სპეციალობას, ხელმძღვანელს. ამის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სტუდენტს.
- გ. სტუდენტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნაშრომის მიზნები, ამოცანები და ძირითადი შედეგები.
- დ. დასკვნით სიტყვაში სტუდენტი გამოთქვამს თავის აზრს შენიშვნების ირგვლივ. იმართება დისკუსია, რომელშიც კომისიის წევრების გარდა მონაწილეობას ღებულობენ დაინტერესებული პირებიც. ამით ნაშრომის დაცვა დასრულებულია.
- ე. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც ფასდება თითოეული ნაშრომი.

ვ. საბაკალავრო ნაშრომი კომისიის მიერ უნდა შეფასდეს დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად ECTS-ის შეფასებათა ასქულიანი სისტემით, რომელსაც წინასწარ უნდა იცნობდნენ როგორც კომისიის წევრები, ისე სტუდენტები.

ზ. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს, საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

თ. შუალედური შეფასების დადებით შეფასებად ითვლება 60-დან 30 ქულის მიღება, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის დაცვის დადებით შეფასებად ითვლება 40-და 21 ქულა და მეტის მიღება;

ი. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი.

კ. ოქმს თან უნდა ერთვოდეს ხელმძღვანელის შეფასებები და ასევე კომისიის მიერ დაწერილი საბოლოო შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

ლ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

#### **მუხლი 14. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია**

**14.1.** საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს რექტორი;

**14.2.** კომისიას თავმჯდომარეობს რექტორი ან მის მიერ განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირი;

**14.3.** საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის თითოეულ სხდომაზე არ შეიძლება 35 საბაკალავრო ნაშრომზე მეტის დაცვა; დღის განმავლობაში დასაშვებია საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის ორი სხდომის ჩატარება;

**14.4.** საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ დამსწრეთა რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის ორ მესამედს მაინც;

#### **მუხლი 15. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ფორმები და კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები**

**15.1.** საბაკალავრო ნაშრომის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტურია. შეფასება ექვემდებარება უშუალოდ ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ შუალედურ შეფასებასა (მაქსიმალური ქულა - 60) და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასებას კომისიის მიერ (მაქსიმალური ქულა - 40). სტუდენტი კრედიტის მისანიჭებლად ვალდებულია გადალახოს სასწავლო კომპონენტის სილაბუსით შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი:

#### **შეფასების სისტემა**

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასების ამ სისტემაში ქულები ნაწილდება შემდეგნაირად:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (Fx) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

Fx - შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე გადამუშავებული ან იგივე საბაკალავრო ნაშრომის წარდგენის უფლება;

დამატებითი გამოცდა ტარდება იმავე სემესტრში, გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში დამატებითი გამოცდების ცხრილის შესაბამისად, მოიცავს საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე პრეზენტაციის წარდგენა-შეფასებას (თუ არ იყო გადალახული მხოლოდ საჯარო დაცვისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შესაძლებელია როგორც გადამუშავებული, ისე იგივე საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა. ორივე შემთხვევაში ნაშრომები ფასდება კომისიის მიერ).

დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებითი გამოცდის შემთხვევაში მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება კომპონენტის საბოლოო შეფასებაში

(0-50 ქულის შემთხვევაში ფორმდება შეფასება F-0 ქულა).

F - შეფასების მიღების შემთხვევაში იგი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ფორმები და კომპონენტები

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით.

სტუდენტი კრედიტის მისანიჭებლად ვალდებულია გადალახოს სასწავლო კომპონენტის სილაბუსით შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი:

შუალედური შეფასება: მაქსიმალური 60 ქულიდან სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს 30 ქულა;

საბაკალავრო ნაშრომის დაცვა/საბოლოო შეფასება: მაქსიმალური 40 ქულიდან სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს 21 ქულა;

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტია. შეფასება ექვემდებარება უშუალოდ ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ შუალედურ შეფასებასა (მაქსიმალური ქულა - 60) და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასებას კომისიის მიერ (მაქსიმალური ქულა - 40)

შუალედური შეფასება  (ხელმძღვანელის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასება)	60 ქულა
ნაშრომის არქიტექტონიკისა და ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობა დადგენილ სტანდარტთან	10 ქულა
ნაშრომის შემოქმედებითად განხილვა და კრიტიკული კუთხით გააზრება	10 ქულა
ნაშრომის შესავალში დასახული მიზნების შესაბამისობა დასკვნაში ასახულ კვლევის შედეგებთან	10 ქულა
განხილული საკითხების ადეკვატურობა და შესწავლის ლოგიკური თანმიმდევრობა	10 ქულა
დასმული საკითხი არსებითად ამოწურულია, განხილულია რელევანტური ლიტერატურა, დასკვნები არგუმენტირებულია	10 ქულა
ციტირების ტექნიკის დაცულობა და ნაშრომის ორიგინალობა	10 ქულა

საბოლოო შეფასება (ნაშრომის დაცვა)  (კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასება)	40 ქულა
თემის აქტუალობა	5 ქულა
პრობლემის აქტუალობა	5 ქულა
პრობლემის ფორმირება	5 ქულა

სტრუქტურასთან შესაბამისობა	5 ქულა
ბიზნეს ლექსიკის რელევანტური მსჯელობა არგუმენტირებულია, კონტრარგუმენტები;	5 ქულა
კომუნიკაციის უნარი	5 ქულა
დასკვნის გაკეთების უნარი	5 ქულა
პრეზენტაციის უნარი	5 ქულა

### 15.3. პლაგიატი

📌 პლაგიატი *plagiatus* (ლათ.-მიტაცებული) - ნიშნავს ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების, სტატისტიკური მონაცემების, კვლევის შედეგების და სხვა. გამოყენებას არასათანადო წესებით (ნაბეჭდი ან ელექტრონული წყაროს მითითების გარეშე);

📌 პლაგიატი შეიძლება იყოს განზრახული ან უყურადღებობით დაშვებული;

📌 საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე, ან იხსნება დაცვიდან, რაც ფორმდება, როგორც უარყოფითი სემესტრული შეფასება. სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეასრულოს ახალი საბაკალავრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია უს ჯორჯიაში დადგენილი წესით და ოდენობით თვით დააფინანსოს საბაკალავრო ნაშრომის ხელახალი მომზადება;

### მუხლი 16. დაცვის შემდგომი პროცედურები:

16.1. დაცვიდან ორ დღეში ოქმი და უწყისი წარედგინება ფაკულტეტის დეკანს სტუდენტის სასწავლო ბარათში შეფასების შესატანად.

16.2. სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები ინახება შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიაში დადგენილი წესის მიხედვით.

### მუხლი 17. დასკვნითი დებულებანი

17.1. ბაკალავრიატის დებულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

17.2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

17.3. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

**სხდომის თავმჯდომარე:**

სალომე პირველი

**სხდომის მდივანი:**

მაია ადვაძე